

შ.პ.ს „ამბროლაურის კომუნალური-2009“

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით
ავტოგრიდერის საბურავების შესყიდვის

(cpv 34300000)

სატენდერო დოკუმენტაცია

ტექნიკური მოთხოვნები:

1. ტექნიკური დოკუმენტაცია

პრეტენდენტმა ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში უნდა ატვიროს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:

1. ფიზიკური პირებისათვის :

ა) პირადობის მოწმობის ასლი

ბ) ფასთა ცხრილი (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N2-ის შესაბამისად)

2. იურიდიული პირებისათვის:

ა) ინფორმაცია რეკვიზიტების შესახებ (დანართი №1 შესაბამისად);

ბ) ფასების ცხრილი (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N2-ის შესაბამისად)

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ

1. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების(ღირებულების 1%-ის ოდენობით) უზრუნველყოფის საბანკო გარანტიების მექანიზმი.

2. მომწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაეთანხმოს აფიდავიტის პირობებს რა სახითაც იგი წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო წინადადების წარმოდგენამდე.

3. მიწოდებული საბურავები უნდა იყოს ,მაღალი ხარისხის, უნდა გააჩნდეს ხარისხის სერთიფიკატი, პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს მწარმოებელი ქვეყანა და მწარმოებელი ფირმა. საბურავები უნდა იყოს მდგრადი და საგარანტიო პერიოდში არ უნდა განიცადოს დეფორმაცია, სწორი ექსპლოატაციის პირობებში არ უნდა გამოავლინოს ისეთი დეფექტები, რომლებიც ხელს შეუშლის ტრანსპორტის ნორმალურ ექსპლოატაციას. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში. მიწოდების ადგილი ქ.ამბროლაური თამარ მეფის ქ.№1

4. საბურავების გარანტია განისაზღვრება მისი დაყენებიდან 50 მოტო/საათი,სწორი ექსპლოატაციის პირობებში წუნის ან სხვა დეფექტის გამოვლენისას პრეტენდენტი ვალდებულია გამოვლენილი ხარვეზის შესახებ შეტყობინების მიღებიდან დაუყოვნებლივ განახორციელოს წუნდებული საბურავის შეცვლა ახალი იდენტური პარამეტრების პქონე საბურავით, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

5. საქონლის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 4400 ლარს. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის ჩათვლით.

6.. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა ანგარიშგაქტურით (ინვოისით) ან სხვა ისეთი დოკუმენტით რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

დამატებითი ინფორმაცია:

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში წერილობითი მიმართვის შემთხვევაში ქ. ამბროლაური თამაქრ მეფის ქ.№1

საკონტაქტო პირი დავით ჯოხაძე: ტელეფონი 591 22 76 44

4. ხელშეკრულება № _____
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომლის პირობები შეიძლება დაზუსტდეს გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. ამბროლაური

2017 წლის ____

ერთი მხრივ, შპს „ამბროლაურს კომუნალური 2009“ (მისამართი: ქ. ამბროლაური თამარ მეფის ქ. №1) წარმოდგენილი დირექტორის დავით ჯოხაძის სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“) და მეორე მხრივ _____ (მისამართი: _____) მისი დირექტორის _____ სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონისა და პრეტენდენტის (მისი დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის SPA № _____ ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. შესყიდვის ობიექტი კლასიფიკატორის კოდი

2.1 შესყიდვის ობიექტი _____ შესყიდვა; CPV _____

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: _____ (_____) ლარს.
- 3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს მიმწოდებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. მიწოდების ვადა და ადგილი

- 4.1 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღე.
- 4.2 მიწოდების ადგილი ქ. ამბროლაური თამარ მეფის ქ. №1

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის შესყიდვის პარალელურად მოახდინოს საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
- 5.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
- 5.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.
- 5.4 შემსყიდველს უფლება აქვს შესყიდვის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს საქონლის ხარისხი.
- 5.5 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიის ან სხვა ვალდებულებებისაგან.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 6.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
- 6.2 შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
- 6.3 მიმწოდებელმა მიღება-ჩაბარების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნა, რომლითაც დადასტურდება მიწოდებული საქონლის ტექნიკურ დოკუმენტაციასთან სრული შესაბამისობა. მიმწოდებელი იტოვებს უფლებას ვიზუალური დათვალიერების შემდეგ საკუთარი ხარჯებით განახორციელოს შესასყიდი ობიექტის ალტერნატიული ექსპერტიზა.

7. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

- 7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტის წარმოდგენიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში.

8. ფასები

- 8.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.
- 8.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

8.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის და შეწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. გარანტია

10.1. საქონლის ექსპლუატაციის სრულფასოვანი საგარანტიო ვადა განისაზღვრება ნორმირებული ვადით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან, რომლის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პირობებში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავის გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2 ი შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

12. მხარეთა უფლება-მოვალეობები

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

- საქონლის მიწოდების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო ინფორმაცია;

12.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

12.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

- მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

12.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით;

13.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 30 %-ის ოდენობით.

13.3 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

13.4 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. დაუძლეველი ძალა

14.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

14.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებისაგან;

14.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

14.3 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

15.1 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:

- ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
- ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;
- გ) იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს;
- დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას;
- ე) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
- ვ) ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

15.2 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:

- ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;
- ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი რაიმე ვალდებულება;

15.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ვადების გადაჭრის წესი

16.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის მოლაპარაკების დაწყებიდან 20 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

17. გადასახადები და დაბეგვრა

17.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადების, ბაჟების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

18. სხვა პირობები

- 18.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
- 18.2 მიმწოდებელს უფლება არ აქვს გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- 18.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი სახითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
- 18.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან

19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

19.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2017 წლის.....

20. მხარეთა რეკვიზიტები

რეკვიზიტები

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი N:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

ბეჭედი.

საბურავების ფასების ცხრილი

| N | დასახელება | განზომილება | ზომა | რაოდენობა | მწარ. ქვეყანა | მწარ. ფირმა | ერთეულის ფასი | საერთო ღირებულება |
|---|----------------------------|-------------|----------|-----------|---------------|-------------|---------------|-------------------|
| 1 | გრეიდერი HBM-NOBAS BG160T4 | ცალი | 14.00.24 | 4 | | | | |

შენიშვნა: ერთეულის ფასი გაანგარიშებული უნდა იყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით

(ხელმოწერა)

(თანამდებობა)

(პრეტენდენტის დასახელება)